1917/3




№ 10 — 1917
კვირა მარტის 5

წელიწადი მეხუთე გამოცემისა
ფასი 15 კ.



დეპუტატი
## კარლო ჩხეიძე

**დროებით აღმას. კომიტეტის (ახალ მთავრობის) წევრი.**
სახელმწიფო სათათბიროს თაოსნობით თებერვლის 27 შუაღამისას შესდგა აღმასრულებელი კომიტეტი, როძიანკოს თავმჯდომარეობით, ჩხეიძის, კერენსკისა და სხ. თანაწევრობით, რომელმაც ძველი მთავრობა დაამხო და ქვეყნის მმართველობის სადავე ხელთ იგდო.

## შინაარსი

1, **მეთაური**— ქვეყანა ელის! 2
2, **დ. მესხი**— ახირებული დღიური „
3, **ივ. გომართელი**— პირველი კლასის კუპე (დასასრული) 3
4, **ვანო ბარველი**— არც მატიანე არც თუ ისტორია 6
5, **ჯაფ რაჭველი** — რაჭა და რაჭველები 7
6, **მიხ. ბოჭორიშვილი**— ვნების ბრჭყალებში (დასასრული) 9
7, **ვ. რატიშვილი**— ქართული მუსიკა და ჩვენი კომპოზიტორები 12
8, **ილო**— ვიშ, ქაა! 14
9, **ღრუბელი**— ცხოვრება 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტის 5

**ქვეყანა** დიდი ცვლილება ისტორიაში უდიდელის! მსხვერპლიდ არა ჰხდება! და რუსეთმაც საკმაოდ დიდი მსხვერპლი გაიღო: ასიათასობით გადასახლებულნი, უფლება-აყრილნი, ჩამოხრჩობილნი რომ არ მოვიხსენიოთ, საკმაოა დავასახელოთ ეს დღევანდელი ომიანობა, რომელმაც ამ სამიოდე წლის განმავლობაში ზეცაცა-კი შეძრა თვისი უდიერობით.

ვინ მოსთვლის რავდენი ასი-ათასი ადამიანის სიცოცხლე განიწირა? ვინ მოსთვლის რავდენი ათეული წლობით მონაგარი ქონება გაცამტვერდა? ვინ დასთვალოს გაოხრებული სოფელ-ქალაქნი? ვინ, ვინ აღრიცხოს ატირებულნი დედანი, ცოლნი და შვილნი?!

გოდება და ცრემლი, ვაება და ვიში გამეფდა ქვეყანაში!

და ველარ შეუძლო ქვეყანამ უპასუხის მგებლო ხელის-უფალთა პარპაშს, რომელთა კეთილდღეობა მუდამ გლეხი ხალხის უბედურებაზე იყო და არის დაფუძნებული!..

ისტორიამ თავისი სთქვა.

რუსეთის ერთა რჩეულ წარმომადგენელთა საუკეთესო წევრთ ისმინეს ერის ღაღადისი და გუშინ დათხოვნილებმა დღეს თვით დაამხეს ძველი მთავრობა და თავი თვისი ქვეყნის დროებით მმართველად გამოაცხადეს.

ხუთშაბათს დეპეშათა სააგენტომ გვაცნობა: შესდგა სახემწიფო სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის წევრებადაც არიან: როძიანკო, კერენსკი, ჩხეიძე, შულგინი, მილიუკოვი, კარაულოვი, კონოვალოვი, დმიტრიუკოვი, რჟევსკი, შიდლოვსკი, ნეკრასოვი და ლვოვი.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

რუსეთის მთავრობა შეიცვალა, მაგრამ ამითი საბოლოვოო სიტყვა არა თქმულა.

ქვეყანა ელის ახალ წესწყობილებას, ცხოვრების განახლებას და ესეც იქნება.

**ანი** თუ ითქვა, **ბანიც** ითქმის!

ვისურვოთ, რომ ეს ცვლილება ბედკრული ხალხის საკეთილო ყოფილიყოს და ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოსაც ღირსებოდეს შვებით ამოსუნთქვა.

# „ახირებული დღიური“

ორშაბათი.

შავი დღე.....

ავათ არის დიდი კაცი!.. დასნეულდა.

დაუსნეულდა სწორეთ ის, რითაც დიდი იყო... რაიც ტურფათ მოსილ ამბიონზე, მაღალ კვარცხლბეკზე აყეეებდა მას ჩვენ შორის....

მე მას სნეულს, მერე ასეთს სნეულს არ ვნახავ, ვერ ვნახავ, ვერა!

და არ ვიცი, ვერ მივმხვდარვარ, რა გულით, რა სულით ნახულობენ მას ისინი, ვინც მისი გონების მრევლს შეადგენენ... ვინც მის აზროვნებას ემონებოდენ!!.

მრევლს მოაზრე თავადი დაეკარგა და თვით თავმოკვეთილი დარჩა...

ასეთი სასტიკი სასჯელი ჯერ ქვეყნად არვის შეუქმნია.

ეს ისეთი წამებაა, რომლის მზგავსს ათიათასი ჯოჯოხეთიც ვერ მოავლევს თვით უსაზიზღროეს ავაზაკზე-..

ის კი მართალი იყო მართალთა შორის...

უმართლესი, უმაღლესი.

საზღვარდაუდებელი განსაცდელია მისი მრევლისთვის.

არც გმინვითა და არცა ცრემლით არ შეიძლება ცოტათ მაინც განელება ამ უბედურობის...

იგი მწარეა თვით ცრემლზე.,.

**ახ!**

**სამშაბათი**

ამ ზამთარში ქვეყანა არ გათათრებულა ადრინდულად..

თეთრი სუდარა სულ ორჯერ-სამჯერ ჩამოფიფქა, მაგრამ ერთი, ხან ნახევარი დღით.

თეთრი ფერი დღეს თვალს ეხამება.

ზეცას რცხვენია თითქოს და ამ შავდროს, გლოვისა და ძაძების დროს თეთრად სამყაროს არ მოსავს.

არ იქნებოდა შეხამებული ძაძის ფერი, ლურჯი-ლაინი, სისხლის გუბეები, მწარე, შავი ფიქრები და... თეთრი თოვლი.

შავად თუნდა წითლად რო სთოვდეს—

უფრო მოუდგებოდა, მოუხდებოდა და შესაფერიც იქნებოდა დღევანდელი ვითარებისა..,

და რატომ შავად არა სთოვს, წითლად არა სწვიმს...

ბარემ მოვიდეს!..

ადამიანი აკი ამისთვის იღწვის, აგერ რაცა ხანია!,...

ხარბია მიწაო! ხარბია, ჰო...

მაგრამ ერთხელ ისიც გაძღება კაცთა ლეშითა და გაიჟღენთება სისხლით....

დაპატივდება.

კაცთა მოდგმა მოისრება და იქნებ ალსდგეს ახალი ნათესაობა ახალის, თეთრის გულით, თეთრი ზრახვებით, რომ თეთრი ფერი თვალს აღარ სჭრიდეს...

დღეს თვალი თეთრ ფერს გადაეჩვია....

**პარასკევი**

რა მშვენიერია ჩემი ქათამი, ჩემი ლამაზა .. ლამაზა!—დავუძახებ და მორბის პურის ნამტვრევს თითებში მიკორტნის და საყვარლად ღრუტუნებს...

ლამაზა დავარქვი, რომ დღეს ქვეყნად დამკვიდრებული და გაბატონებული სიმახინჯე სიგონჯე და სიდუხჭირე წამით მაინც დავივიწყო, გულიდან მოვიშორო, როცა ჩემთანაა ჩემი ლამაზა და როცა ვეალერსები .-.

მიყვარს ლამაზა!

**კვირა.**

ერთ სოფლელთან მასლაათი მქონდა. მეტად გულნატკენი იყო ჩვენი გაზეთების წერის კილოთი.

„— ღვთის მადლით სახელები კარგი დაურქმევიათ პატრონებს თავის გაზეთებისთვის: **სახალხო, სამშობლო-საქართველო, მეგობარი, აზრი, ცხოვრება,** და სხვაც.

მერე რა?

არც ერთი ღირსეულ მეგობრულ აზრს არ უზიარებს მეორეს. სამშობლო-საქართველოსათვის და სახალხოდ თავგანწირული უნდა იყვნენ ყველა, და ნაცვლად ისე უღიერად იხსენიებენ ერთმანეთს, რომ მე, სოფლელს გული მიკვდება, როცა ამ უხამსსა და მწერლისთვის შეუფერებელს სიტყვებს ამოვიკითხავ ხოლმე. გაზეთი ჩემთვის სოფლიდ მეორეპური არისობისაა:. ეს კი არა იშვიათად იქ ამონაკითხი ყელში გამეჩხირება და მახჩობს! ქალაქელი იქნებ შეჩვეულიც იყოს ამ კილოს, მეკი, სოფლელს იგი ვერ მომინელებია.

და ახლა ვფიქრობ: მართებული კი იქნება ჩვენ, სოფლელებმა პირი შევკრათ და მოვთხოვოთ გაზეთების პატრონებს—ან დააგდონ ეს უმართებულო კილო და შემარცხვენელი უნარი წერისა, ანა და.......

შეგვიცოდონ, უგაზეთობა არ შეგვიძლიაჰ.

ისმინე ისრაელ!....



# პირველი კლასის კუპე

(დასასრული. იხ. „თ. და ცხ.“ № 9.)

ერთხელ ანტონი ბაქოში მიდიოდა საქმის დასაცავათ. პირველი კლასის კუპეში ის და ერთი ახალგაზრდა ქალი ერთათ მოხვდენ.

გზაში მგზავრები ადვილათ მალე ეცნობიან ერთმანერთს.

ანტონი მალე დაუმეგობრდა კიდეც ქეთოს, რომელსაც ბაქოში და ჰყოლოდა გათხოვილი და მასთან მიდიოდა.

მთელი გზა ანტონმა და ქეთომ მუსაიფში გაატარეს მხიარულათ და დრომ ისე გაირბინა, რომ არც კი შეუმჩნევიათ.

— ნუ თუ ახლა მე და თქვენ ერთმანეთს სამუდამოთ უნდა დავშორდეთ? წარმოსთქვა ანტონმა, როცა მატარებელი უკანასკნელი სადგურიდან დაიძრა.

— ძალიან დაგწყდებათ გული?

— მე ძალიან. თქვენ?

— მეც ძალიან დამწყდება.

— მაშ რა ვქნათ?

— არ ვიცი გადიკისკისა ქეთომ.

— მოდი, ერთმანეთი შევიყვაროთ.

— ვუარესია, უფრო გაგვიძნელდება ერთმანერთის დაშორება.

— არა, ვერ გაიგეთ. ისე შევიყვაროთ, რომ ერთმანერთს აღარ დავშორდეთ.

— მე არაფერი არა მაქვს წინააღმდეგი.

— ხუმრობთ?

— იმდენათ, რამდენადაც თქვენ.

— მაშ დაჰკარით ხელი.

ქეთომ სიცილით ხელი ხელზე დაჰკრა. ანტონმა ხელი მოუჭირა და ზედ აკოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ იქნებით ჩემი ცოლი.

ქეთო ჯერ გაშტერდა, რადგანაც ხუმრობა ეგონა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ანტონი არა ჰხუმრობდა, შეაჩერდა, სახეზე წამოწითლდა, თვალებზე ხელები მიიფარა და რამდენიმე ხანს ასე იყო, თითოქს ფიქრში იყო გართული. შემდეგ ანტონს ხელი ჩაჰკიდა ხელში და ჩუმათ ფანჯარაში დაიწყო ყურება.

ანტონი პირდაპირ ქეთოს დასთან ჩამოხტა.

ქეთოს და მარო ექიმი ვასილის ცოლი იყო.

როდესაც ამათ გაიგეს ქეთოსა და ანტონის უეცარი შეუღლება, მეტათ გამხიარულდენ.

— ასე უნდა მაშ! გაიძახოდა ვასილი. უცებ, უცებ!

ანტონი ორ კვირას დარჩა ბაქოში და თფილისში ჯვარდაწერილი დაბრუნდა.

წლები მიდიოდენ. ანტონი და ქეთო ტკბილათ სცხოვრობდენ.

— ისეთი ცოლი შემხვდა, როგორიც მე მინდოდა, ხშირათ იტყოდა ხოლმე ანტონი...

ქეთო უკვე სამი შვილის დედა იყო.

ზამთარში სამივე ბავში ყივანა ხველით დახდენ ავათ. გაზაფხულდა თუ არა, ექიმის რჩევით ანტონმა აგარაკზე გაგზავნა ცოლშვილი. თვითონ ორ კვირეში ერთხელ დადიოდა სანახავათ.

— მიცანით? წარმოსთქვა ახალგაზრდა ქალმა, როცა აგარაკიდან გამობრუნებული ანტონი პირველი კლასის კუპეში ჩაჯდა.

ღამდებოდა და კარგათ არა სჩანდარა. ანტონი ჩააჩერდა ქალს.

— ვერა! წარმოსთქვა მან.

— რამდენი ხანია, ერთმანერთი აღარ გვინახამს! გამოცვლილხართ.

— უკეთესი ვარ, თუ უარესი?

— არა, უკეთესი ხართ.

— სამაგიეროთ თქვენც გამოცვლილხართ, გასუქებულხართ.

— ესე იგი დავუშნოვებულვარ, არა?

— სრულიადაც არა. ზომიერი სიმსუქნე ქალს უხდება.

ორივე გამხიარულდა.

— მე ვიცი, თქვენ როგორ შეირთეთ ცოლი. ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ... რა ვიცი! დაიწყო ვერამ და აღარ გაათავა.

— იციო, რომ მე გავთხოვდი? წარმოსთქვა მან ერთბაშათ.

— ვიცი.

— ჩვენ სულ გვინდოდა თფილისში გადმოსვლა, მაგრამ ჯერ როგორღაც არა ხერხდება, არ გადმოჰყავთ ჩემი ქმარი.

— შვილი რამდენი გყავთ?

— წარმოიდგინე, არც ერთი! ისე უბედური ვარ, ისე, რომ ვერ წარმოიდგენ. ამოიოხრა ვერამ და მოწყენა დაეტყო.

— რა დაგემართათ?

— რა ვქნა. რაც შეგვიძლია ვცდილობთ, მაგრამ არა გამოვ-დარა. იოხუნჯა ვერამ. აი ახლა თფილისში მოვდივარ საექიმოთ, ქმარმა აღარ დამაყენა.

— მოგცლიათ!

— როგორ?

— რა საჭიროა ახლანდელს დროში შვილი? ჯავრი, ხარჯი, შრომა, დავიდარაბა და სხვა არაფერი.

— ნურც მაგას იტყვით. ოჯახი უშვილოთ არ ვარგა. ცოლქმარს შვილი ერთმანერთთან აკავშირებს. წარმოიდგინე, გულში ჩემს ქმარს ვემდური, გული მწყდება იმაზე, რომ შვილი არა მყავს, და დარწმუნებული ვარ, ის მე მემდურის თავის გულში. რას ლაპარაკობთ! შვილი დიდი ბედნიერებაა, დიდი.

თფილისამდე არ დადუმებულან. ვერა ძველებურათვე მხიარული იყო, ხუმარა, ცქრიალა.

— სასტუმროში ხომ მიმაცილებთ?

— დიდის სიამოვნებით.

ერთათ ჩასხდენ ეტლში და სასტუმროსაკენ გამოემართენ. ვერას გვერდით ჯდომამ ანტონში გააღვიძა ძველებური გრძნობა და ამ ქალის მოხვევისა და კოცნის სურვილი დაებადა.

ორივე ჩუმათ იყო.

— ნუ მომშორდებით ჯერ, დავსხდეთ სასტუმროში და ვილაპარაკოთ. ჯერ კიდევ ბევრი რამე მაქვს სათქმელი. ჩვენ ხომ ძველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრები ვართ. წარმოსთქვა ვერამ, როცა ეტლი სასტუმროს წინ გაჩერდა.

ანტონი დაემორჩილა. მას ახლა თვითონ უნდოდა ვერასთან დარჩენა.

— ანტონ, ანტონ! რამდენი ხანია, ერთმანერთი აღარ გვინახავს! წარმოსთქვა ვერამ, როცა ოთახში დაბინავდენ და ანტონს ხელი ხელზე დაადვა.

ანტონს რაღაც სითბომ დაუბრუნა მთელს ტანში.

— მე კი ძალიან მინდოდა შენი ნახვა. აი ახლაც პირდაპირ იმისთვის წამოვედი თფილისში, რომ შენ მენახე.

— ვეჰვობ.

— გეფიცები.

სიჩუმე ჩამოვარდა. ვერას აღელვება ეტყობოდა. ტუჩები გადაფეფქვილი ჰქონდა და ხელი ოდნავ უკანკალებდა.

— იცი ანტონ! დაიწყო მან ერთბაშათ. მე შენთან დიდი, ძალიან დიდი საქმე მაქვს.

— მიბძანე.

— თუ არ აასრულებ. სიტყვა მომეცი, რომ არ გამკიცხავ, არ დამცინებ, არ დამამცირებ და გარყვნილ, ზნე დაცემულ ქალათ არ მიმიღებ.

— რას მეუბნებით!

— მე უშვილო ვარ. ვიცი, რომ მიზეზი ჩემი ქმარია. გავთხოვდი სიყვარულით, მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ მე ჩემი ქმრისაგან შვილი არ მომეცემა, მას აქეთ ამ სიყვარულს რაღაც გამოაკლდა, ის თითქოს ილევა კიდეც. მეშინია, რომ მთლათ არ დაჰქრეს, — მაშინ ხომ ერთად ცხოვრება შეუძლებელი იქნება, შენ იცი ჩემი ხასიათი. არ იფიქრო, რომ მე ჩემი ქმარი არ მიყვარდეს: ძალიან მიყვარს, მაგრამ უშვილობაზე უმეტესი უბედურება მე ჩემთვის ვერ წარმომიდგენია. დარწმუნებული ვარ, რომ იგივე ემართება ჩემდამი გრძნობას ჩემი ქმრის გულში. შეუძლებელია, რომ ყოველი უშვილო მამაკაცი გულში ცოლს არ ემდუროდეს: სხვა ქალი რომ შემერთო, შვილი მეყოლებოდაო. ჩემი ქმარი სწუხს უშვილობას, ძალიან სწუხს; დარწმუნებულია, რომ მე ვარ მიზეზი. ეს სამი თვეა, ჩამციებია, თფილისში წადი იწამლეო. მაშასადამე ერთათ ერთი საშუალება ჩვენი ოჯახის სიმტკიცისა და ბედნიერებისა ის არის, რომ მე შვილი მეყოლოს.

— თქვენმა ქმარმა იცის რომ ის უშვილოა?

— საქმეც მაგაშია, რომ არ იცის.

— მაშ თქვენ საიდან იცით, რომ ის არის უშვილო?

— ვიცი, ვიცი, მაგრამ როგორ, საიდან, ეს განა სულ ერთი არ არის! მე თქვენა გკითხავთ, რა უნდა ვქნა?

— თუ შვილი გინდათ მაინცა და მაინც, ქმარს უნდა უღალატოთ.

— გამკიცხავ, რომ აგრე მოვიქცე? ნუ დაგავიწყდება, რომ ამ ღალატის ერთათ ერთი სარჩული ის იქნება, რომ მე დედა გავხდე, დედა და ამით სიყვარული და ოჯახი შევინარჩუნო.

— ვერ გაგკიცხავთ. თუ ცოლმა იცის, რომ მისი ქმარი უშვილოა, უშვილოთ კი უბედურია, სრული უფლება აქვს ქმარს უღალატოს შვილის შეძენის გულისათვის. ყოველ ქალს უფლება აქვს, დედა გახდეს. მაგრამ ვერ წარმომიდგენია, როგორ განამტკიცებს ოჯახში სიყვარულს ის ბავში, რომლის მამაც სხვა იქნება, ოჯახს გარეშე მდგომი?

— ბავში იქნება კავშირი მე და ჩემ ქმარს შუა, ის გახდება ორივეს საერთო საზრუნავი, საერთო სიყვარული.

ანტონი ჩააჩერდა ქალს თვალებში, რომლებშიაც ერთად იყო არეული თხოვნა, ვედრება, მუდარა, შიში, სირცხვილი, კრძალვა.

ანტონი შეკრთა, გულმა მაგრად დაჰკრა და ძგერა დაიწყო. მას ტანში დაურბინა იმ ჟრუანტელმა, როგორც საცოლის პირველმა კოცნამ აგრძნობინა, და ვერა გულში ჩაიკრა.

ანტონი ეკროდა ვერას, გიჟურის ალერსით უკოცნიდა ტუჩებს, თვალებს, ლოყებს, კისერს...

ერთ თვეს გაგრძელდა მათი ნეტარება· ანტონი ცოტა ხნით შედიოდა სახლში, დამეს კი სულ ვერასთან ატარებდა სასტუმროში. ვადაზე ცოლს შეუთვალა, საქმეები მაქვს და ამა და ამ რიცხვამდე ნუ მელიო.

ვერას წასვლის შემდეგ ანტონმა მალე ჩამოიყვანა ცოლშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისეთი მშვენიერი ადგილია, ისეთი, რომ ყოველ ზაცხულს იქ უნდა წავიყვანო ბავშები. როცა იქ სიგრილით ვსტკბებოდი მდინარის პირას, მაგონდებოდი, შენ რომ აქ სიცხეში იხრაკებოდი, და გული მეწოდა. ეუბნებოდა ქეთო ქმარს.

— სიცხეს მე შეჩვეული ვარ და არ მაწუხებს. წარმოიდგინე, ზამთარს ყოველთვის ზაფხული მირჩევნია, რაც უნდა ცხელი იყოს. უმტკიცებდა ანტონი.

გაზაფხულზე ანტონმა წერილი მიიღო ვერასაგან, სადაც სხვათა შორის სწერდა:

„ჩემი ბიჭი ახლა ერთი თვისა არის, მაგრამ სამი თვისასა ჰგავს. თორმეტ გირვანქას იწონის. დღითი დღე იზრდება და მსხვილდება. საშინლათ უყვარს ვანა“.

# არც მატიანე არც თუ ისტორია

შესავალის მაგიერი

...ჭრო და თეატრით გატაცებული რამდენიმე მოწაფე შევიკრიბენით.

ტანითაც და წლოვანებითაც ყველაზე პატარა მე ვიყავი. გიმნაზიაში ვსწავლობდი... ის იყო მესამე კლასში გადავედი. საზაფხულო დასვენებისათვის ვიყავით დათხოვნილნი...

რომ მერე არ დამწყირდეს ჩვენი წრის წევრების სათითაოდ აღწერა, ეხლავე ხელმოსმით და მოკლე ბიოგრაფიული ხაზებით, ანუ მოხაზულობით გაგაცნობთ ყველას!

დავიწყებ ჩემიდან...

მაგრამ უკაცრავად, რომ არავინ შემწამოს უზრდელობა და ქართველური ჩვეულების დავიწყება, ზრდილობისამებრ სხვას დავუთმობ პირველობას.

მაშ ასე!

ჩვენს წრეში იყვნენ: ვინმე განიჩკა ხიხრიძოლე, სცენის მოყვარე—(შემდეგში ექიმი)—განსაკუთრებით კომიკურ როლებზე და აგრეთვე ყველა კომედიებისა და გოდევილების რეჟისორი.

მიშა ბეკიჩი—(უნივერსიტეტის გათავების შემდეგ მომრიგებელი მოსამართლე)—დრამატიული გმირების მოთამაშე, გოგოლის „შეშლილის წერილების“ მკითხველი და ყველა ტრაგედიების და დრამების რეჟისორი, (კარგათ დაიხსომეთ წრის დასის მეორე რეჟისორი).

დამაზი გრიშა გიტარისტი—(უმაღლესი სწავლის დამთავრების შემდეგ სახემწიფო ქონებათა უწყების მოხელე)—ახალგაზრდა მოარშიყეთ როლების მოთამაშე.

ძმა მისი იოსკა მოცეკვავე—(ეხლა უკვე ექიმის დიპლომი აქვს)—სპეციალურად გლეხების როლებს ასრულებდა.

მიშა არჯევანი, აპოლონ ბელვედერის სიდამაზით დაჯილდოვებული—(ეხლა ექიმობს)—ვერც ერთ როლს ვერ მოუდგა, წრის ხაზინადარი.

საშა ინომოურული—(არც ერთი უნივერსიტეტის დიპლომი არა აქვს)—განსაკუთრებით ქეთათურ ებრაელების როლების მოთამაშე, დიდი ფართი-ფურთის ვინმე, წრის ადმინისტრატორის უფლებით აღჭურვილი, (ეხლა რუსის ჯარის ოფიცრადაა*).

მარო პატარა—(ეხლა უკვე ქართული სცენის ცნობილი მსახიობი ქალი)—იმ თავითვე უოვლნაირი როლის სინდისიერათ აღმასრულებელი.

კოწია მღვდლიანი—(კერძო მინდობილობათა მოხელე)—მხოლოდ და მხოლოდ კლასიკური როლების განმასახიერებელი.

დევან მეგირალა—(იმუოფება იქ, საიდანაც არც ერთი მგზავრი უკან აღარ დაბრუნებულა)—დრამატიული რეზანიორების წარმომადგენელი.

პლატონ ბოთლიანი—(სიმღერის მაღლა დამწყები, უთვალავი ბოთლებით ღვინის მსმელი)—დრამატიულ-კომიკურ-იდილიკურ-სახასიათო როლების გადმომცემი და...

მე!—(ამბობენ: ისე ერთი შეხედვით მსახიობს გევხარო! თუ ეს თქმულება ოდნავათაც არის სიმართლეს წააგავს, ვაი ქართულს დრამატიულ ხელოვნებას!)—მოკარნახე, სცენარიუსი, სოხონიკა, ნერვიული, სახასიათო, იმერული, ახალგაზრდური, მოხუცებულების, შუახნის, ბავშების, სულელური და ჭკვიანური როლების წარმომოქმედი!

ჭრო, მართლა, ბოდიში!

მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, რადგან ჩვენი წრის მოღვაწეების დასასრულს შემოგვიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და ამიტომ ბოლოში მოექცა იმისი ვინაობის აღნუსხვა.

შალვა კაი ბიჭი — (ცნობილ მსახიობის მთამომავალი) — მოკრივე, მოხდენილი, იმ თავითვე ენა-მჭევრი, გონებიანი... საერთოდ, გამოსადეგი.

ჭო და ყველა ესენი შევიკრიბენით...

შემდეგი სხვა რომელიმე ნომერში იყოს!

**ვანო ბარველი**

# რაჭა და რაჭველები

(წერილი მეგობართან)

## I

ძვირფასო მეგობარო! ამას წინეთ შეგპირდით მომეწოდებინა ჩემი მოსაზრებანი რაჭველთა და რაჭის მაზრის შესახებ. აი, ვასრულებ ჩემს დაპირებულს და მოგახსენებთ შემდეგს: რაჭის მაზრა ერთი უდიდესი მაზრაა ჩვენი სამშობლოისა, მასთანაც მეტად მშრომელი და ბეჯითი ხალხით დასახლებული. ჰაერი რაჭაში მეტად საღი და მშვენიერია, მოსავალიც ვიწრო რიონის პირებმა ნოყიერი იცის, მაგრამ მთავარი უბედობა რაჭველთა მიწის სივიწროვეში მდგომარეობს. რაჭაში ადგილების საარაკო ფასებს მხოლოდ ქალაქ ადგილებში არსებული მიწის ფასები თუ შეედრება, და სწორეთ ეს საშინელი მიწის სიმცირე და მისით გამოწვეული სიძვირე, რაჭველებს ჰბორკავს და მიუხედავათ მათი სიმხნე-გარჯისა, სიღარიბისათვის თავი ვერ დაუხწევიათ: თითქმის რაჭველნი მეოთხედი სამშობლოს გარეთ არიან გასულნი, სადაც სხვადასხვა გვარ ვაჭრობა-მრეწველობას და მოსამსახურეობას ეწევიან, და თავის ნაპოვარ ნაშოვარს რაჭაში ჰგზავნიან. რომ ვიანგარიშოთ ყოველ წლიწადს რაჭაში ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ფული შემოდის, სხვა პირობებში და სხვა ადგილას ამდენი ფულით ბევრი რამ გაკეთდებოდა, რაჭისათვის კი ეს ამოდენა შემოტანილი სიმდიდრე ფერფლსავით ჰქრება, და რაჭველნი, როგორც მოგახსენეთ უკეთესობისაკენ ვერ მიდიან. ხშირათ იმ რაჭველს, რომლისთვისაც გარეთ ბედს გაუღიმებია და უამრავი ფული უშოვია, რაჭაშივე მორბის, და სულ იმის ცდაშია, რომ ათი ზომა ფასის გადახდით მეზობელს რამდენიმე საჟენი მიწა ჩამოუჭრას. როგორც ხედავთ, რაჭველი მოტანილი ფულით მამულს ვერ იფართოებს, მეზობელს კი უკანასკნელ მიწას ხელიდან აფცქვნის. და დროებითი გამრჯვებით უოფოხობს. რაჭველებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ, რომ რაჭაში მიწა არ იშოება, და აქ ფულის დაბანდება მოცდენა ცარიელი წყლის ნაყვაა, ფასების დახარბებით ერთის ხელიდან მეორისაკან ადგილის გამოგლეჯა, რაჭველებს ფულიდანაც სცლის და მასთან შურს, მტრობას აძლიერებს.

## II

რა ბედნიერნი ვიქნებოდით, როგორც ჩვენ ისე რაჭველები, რომ მათ დღევანდელი ქვეყნის მდგომარეობა გათვალისწინებული ჰქონდეთ, მაშინ დარწმუნებით შემიძლიან მოგახსენოთ, რომ ჩვენი კეთილდღეობა საგრძნობლათ წინ წაიწევდა, რადგანაც დღესდღეობით ქართველებს მიწაც გვინდა, და მისი მოსაპოვებელი სახსარიც. დღევანდელს პირობებში არავის არ უჭირს უმიწობით ისე, როგორც რაჭველებს (გარდა მთავრობის და სვანებისა) და არც არა რომელ ხალხს არ შეუძლიან რაჭველების ოდენი ფული მოახერხოს, რადგანაც რაჭველნი სხვა ქართველებზე უფრო დახელოვნებულნი არიან ფულის შეძენაში.

ჩვენის ფიქრით შორს აღარ არის ის დრო, როცა მიწის მუშას, რკინის „კაცები" და რკინის ხარ-კამეჩი მიეშველებათ, მაგრამ ვინ რაში უნდა გამოიყენოს ასეთი რკინის ძალები, თუ მას მიწა არ ექმნება? უნდა ვიქონიოთ აგრეთვე მხედველობაში, რომ მომავალში გაუმჯობესებული ტეხნიკით მუშაობა შესაძლებელი იქნება ვაკე და სწორ ადგილებში, დრე-კლდენი კი ისევ ძველს პირობებში დარჩებიან, რადგან ბუნების წინააღმდეგ ადამიანი უღონოა.

სწორედ ამ მოსაზრებით და სხვა მოსაზრებითაც, ხშირათ რაჭველებმა აჩქარებით ხელში ჩაიგდონ ის აუარებელი, ფას-დაუდებელი მიწა-წყალი, რომელიც დღეს ჩალა ბზის ფასათ იყიდება, და რომელ ადგილებსაც ქორივით უტრიალებენ ჩვენი მტერ-მოყვარენი.

რაჭველებს თავისუფალი ფულით შეუძლიანთ შეიძინონ, დღეს ჩვენის უმეცადინობით აბუჩად აგდებული ველ მინდვრები. სადაც ერთი და ორი ვერას გახდება, იქ უნდა შესდგეს ამხანაგობები ათი-ოცი და მეტი კაცისაგან შემდგარნი და შემდეგ შეუძლიანთ გაუნაწილონ ეს მამულები, როგორც სხვა ქართველებს აგრეთვე რაჭველებსაც.

საჭიროა ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან საკითხს, ყოველი შეგნებული რაჭველი გულით და სულით მოეკიდოს.

წერილის დასასრულ საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ქართველთა თავისუფალ მიწებზე გადმოსახლების საკითხს მეტათ მხურვალე გულით მიეგება „თბილისში" მცხოვრებ ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელიც იმედია, თავის დაპირებას, ფორმის გარეშე, საქმითაც შეასრულებს.

**ჯაფა რაჭველი**

*) აფიცერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთის საკრედიტო და შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობათა კავშირის გამგეობა



იოსებ (სოსო) ივანეს-ძე მაჭავარიანი — დავით პეტრეს ძე ლუკაშვილი — დავით ნიკოლოზის ძე ქადაგიძე



**მგოსანი გ. ქუჩიშვილი**

დღეს სახალხო სახლში სალიტერატურო დილასა მართავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვნების ბრჭყალებში

სურათები ხუთ მოქმედებად მიხ. ბოჭორიშვილისა

(იხ. „თ. და ც." № 6, 7, 8, 9)

## მოქმედება მეხუთე

იგივე ოთახი, რომელიც მეორე მოქმედებაში. თაროზე მწკრივად დალაგებულია წიგნები. საერთოდ ოთახი სუფთად მილაგებულია, ისმის ჭექა-ქუხილი. დროგამოშვებით ელვის ხაზი შემოანათებს ფანჯარაში. სახლის სახურავიდან წყლის სახურავიდან წყლის ჩხრიალი მოისმის. მაგიდასთან ზის ალოლი და წიგნს კითხულობს, დიოგენი ღია ფანჯრიდან სივრცეს გაჰყურებს. ეყთხანს დუმილი. დიოგენი ფანჯარას მოსცილდება და მოდუნებული დაეშვება სკამზე.

### I

### ალოლ და დიოგენი

**ალოლ.** (კითხვას თავს ანებებს, მივა დიოგენთან და მოფერებით) შეუძლოთ ხომ არა ხარ ჩემო სიცოცხლევ?

**დიოგ.** უსიამოვნოდ გაიქნევს ხელს) თავი დამანებე მეთქი.

**ალოლ.** ნუ თუ ასე მალ მალე მოგბეზრდა ჩემთან ცხოვრება?

**დიოგ.** მოთმინებიდან ნუ გამომიყვან! დამეხსენ! შენ დაჰგავე ოთახი ასე სუფთად? შენ ჩაამწკრივე წიგნები რიგზე? (თაროდან წიგნებს გადმოჰყრის) არ მიყვარს წესრიგი, არ მიყვარს, რადესაც ყოველსვეს ჩვეულებრივი ელფერი აძევს. მეზიზლები, როდესაც ყოველივეს ჩვეულებრივ დედა-კაცს ვჭვრეტ. რა საშინელია ასეთი ცხოვრება. მომშორდი, წადი აქედან აქედან, თორემ გეფიცები ვერ ვძლევ უკეთურებასდა ხელით შეურაცყოფას მოგაყენებ.

**ალოლ.** მცემე! მცემე! მაინც ვერ მოგშორდები, სად წავიდე სუსტი უმწეო დედაკაცი, როდესაც ყველა ჩემს წინაალმდეგ ამხედრებულა? ხალხი ყოველგყვარ უბედურების მიზეზად მე მხდის.

**დიოგ.** ნუ იქნები სუსტი და უმწეო. ისევ მიჩვენე შენი ცეცხლ მფრქვევი თვალები, ისევ შეიმოსე იდუმალებით ეგ სახე, წადი ალოლ, დროებით მაინც გამშორდი, რომ კვლავ აღსდგეს ჩემში სურვილი შენდამი ძიებისა. შნნთან ცხოვრება არ შემიძლია' შენს სიყვარულს მომტაცებს, წამართმევს შენი სიახლოვე.

**ალოლ.** რათ არ გინდა გაიგო, რომ მე უშენოთ სიცოცხლე აღარ შემიძლია. (სტირის)

**დიოგ.** (ხელს კიდებს და თვალებში ჩააცქერდება) რად ჩაჰქრა ცეცხლი შენს თვალებში, რად დაჰკარგე იდუმალი ძალა, რომელიც შენსკენ მიზიდივდა?

**ალოლ.** როგორ მიცქერი, მეშინია!

**დიოგ.** ოჰ, რომ შემეძლოს აღავადგინო ჩემს ჩულში ის ტკბილი ოცნება, რომელიც შენს სახეს ღვთაებრივ შარავანდედით ჰფენდა, რა ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ ეხლა შენში მხოლოდ დედა-კაცს ვხედავ, ქმრის მანა მორჩილს.

**ალოლ.** და იმიტომ გეზიზლები?

**დიოგ.** დიახ, მიყვარხარ და მეზიზლები! მე მიყვარს ალოლის სახე, რომელიც სრულიად მოულოდნელად შემოიჭრება ჩემ მარტოობაში და მეზიზლება ის რომელიც მუდამ ჩემთან არის, რომელიც მუდამ ჩემთან არის, რომელიც ყოველ ჩემს სუნთქვას იზიარებს. ყური დამიგდე ალოლ! არ ვიცი რად მეჯავრება ასე ჩემი ცხოვრების ბედნიერი წუთები, არ ვიცი რად მიპყრობს ასეთი უსაზღვრო საწარკვეთილობა, როდესაც ბედნიერების ახლო მიხდვა გავლა. არასფერი ისე ცუდათ არ მოქმედობს ჩემზე, როგორათაც სურვილის განხორციელება. ძიების დროს ჩემი სასწარკვეთილევა ამაყი და მედიდურია მხოლოდ როდესაც ძიების მიზანი ახლოვდება იგი ჰკარგავს ამ სიამაყეს.

**ალოლ.** რად წამომიყვანე მონასტრიდან, თუ ჩემთან ცხოვვრება არ შემეძლო? ეხლა სად წავიდე, ვის მივმართო? (სტირის)

### II

### ძგინავე და ლიზა

**ლიზა.** რად სტირი ალოლ; რა გემართება?

**ალოლ.** გიკვირს განა? ცრემლები ხომ მუდმივი ჩემი თანამგზავრია მხიარულობისა და სიმწუხარეში?

**ლიზა.** მდინარემ გადმოხეთქა ნაპირებიდან. საუცხოვო სანახავია, არ წამოხვალ საყურებლად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ალოლ**. ეხლა საშიშარია მდინარესთან მიახლოება.

**ლიზა**. მაშ მე წავალ მარტო! (გადის)

**დიოგ**. (მიდის ფანჯარასთან და შორეულ სივრცეს გაჰყურებს) ხა! ხა! ხა? ალოლ შეხედე გიორგის როგორ აბუზულა?

**ალოლ**. საბრალო! უთუოდ გზაში მოუსწრო ნიაღვარმა. (გადის მისაგებებლად).

**დიოგ**. დღეს მშრომელი ხალხი მოწამე უნდა გახდეს თვისი სრული განადგურების. როგორ ჩამობნელდა შესაძლოა მალე სეტყვაც წამოვიდეს.

III

იგინივე და **გიორგი**

**გიორ**. რას გასცქერ უსაზღვრო სივრცეს ბრძენო დიოგენ! ვინ იცის ეხლა შენს თავში რა მიუწდომელი ფიქრები არ მუშაობს, მაგრამ ფანჯარა მაინც მოხურე, თორემ გეფიცები ნიაღვარი არც შენ დაგინდობს და შენს მსუბუქ ფიქრებსაც გაიტაცებს. ალოლ! ალოლ! არაყი მომიტანე, თორემ ხომ ხედავ ისე ვცახცახებ, როგორც ვერხვის ფოთოლი.

**ალოლ**. ეხლავე ძიავ! (გადის).

**გიორ**. დიოგენ!

**დიოგ**. მესმის!

**გიორ**. რადა აქვს ალოლს ნამტირალევი თვალები?

**დიოგ**. უთუოდ მის წამწამებშიც მოსწვიმა.

**გიორ**. მერე რისთვის?

**დიოგ**. უთუოდ ძია გიორგი მოენატრა.

**გიორ**. დიო! დიო!

**დიოგ**. ჰმ! რა გნებავს!

**გიორ**. ნუ სტანჯავ საბრალო ბავშვს.

**დიოგ**, მე მეკითხები?

**გიორ**. არა! ეს პირდაპირ შეუწყნარებელია თქვენის მხრივ, ეს ვერაგობაა, ამას ვერ მოვითმენ!

**დიოგ**. (მკაცრად) მერე! მერე?

IV

იგინივე და **ალოლ**

**ალოლ**. ჰა, გადაჰკარ ძია.

**გიორ**. (სვამს) კიდევ დამისხი.

**ალოლ**. მიირთვი (უსხამს)

**გიორ**. (ცარიელ ჭიქას თავდაყირა დაუშვებს.) აი, ასე თავდაყირაა ყოველივე თქვენს მეცნიერებაში. რა თავში ვიხალო თქვენი მეცნიერება, როდესაც ასეთ მოულოდნელ უბედურებისაგან ვერ უზრუნველ გვყოფს? მთელი სოფლის სარჩო ნიაღვარს მიაქვს. თქვენ-კი ჩაკეტილხართ ოთახში, და იმასაც კი არ უწევთ ანგარიშს, თუ რა ხდება თქვენს ირგვლივ.

V

იგინივე და **დედა დიოგენის**

**დედა**. ბატონ გიორგის სალამი.

**გიორ**. დედობილო, ვიღუპებით არა?

**დედა**. ცოდვა ტრიალებს. საბრალო გოგიას ქვრივის ქოხი გაიტაცა ნიაღვარმა, ვერასფერი ვერ გადაარჩინეს. ილოცეთ შვილებო, იქნებ ღმერთმა შეგვიბრალოს.

**დიოგ**. ცამდის ვერ აღწევს მიწიერი ლალადი, ქვეყნიურ ზრუნვით დამძიმებული. ლოცვა არ იწვევს სიბრალულს მრისხანე შემოქმედის გულში.

**დედა**. ყოვლად მოწყალე არის უფალი.

**ალოლ**« ნუ თუ ამ რამოდენიმე წუთის მსხვერპლი უნდა გახდეს მთელი წლის ნაშრომ-ნალვაწი.

**დედა**. ვილოცოთ შვილო!

**დიოგ**. ხა! ხა! ხა! ილოცეთ, ილოცეთ! უფალმა ისმინა ამ ქოხებიდან ზეცად აღვლენილი ლოცვა-ვედრება და აი ნიშნად სიბრალულისა სეტყვაც წამოვიდა (მოისმის სეტყვის ყრუ ხრიალი).

**გიორ**. ღმერთო ჩემო, გაფუჰდა ვენახი. რაღა ვქნათ, რა გვეშველება?

**დიოგ**. გესმისთ? (ისმის აჩქარებული ზარის ხმა დიოგენის დედა პირჯვრის წერით გადის)

**დიოგ**. საბრალო ხალხი! ამით სურს სძლიოს საშინელ სტიქიონს. როდემდის უნდა გასტანოს ასეთმა ცრუ მორწმუნოებამ? როდის უნდა დაიხეს ის ბნელი ზეწარი, რომელიც აბნელებს ხალხის გონებას?

VI

იგინივე და **ლიზა**.

**ლიზა** (შემორბის) სეტყვამ თეთრად დაფარა მიწა. ხალხი მკითხავის დერეფანში იკრიბება, პლატონი ჩვენსკენ მორბის გაჩქარებული. მეშინია ცუდი არასფერი მოხდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII

იგინივე და **პლატონ**

**დიოგ.** რა რიგ დასველებულხარ? მინდვრად მოგისწრო სეტყვამ?

**პლატ.** გიგოს ქვრივის ეზოში ვიყავით თავმოყრილი, საბრალო ძლივს გადავარჩინეთ, წყალში უნდოდა თავის დარჩობა. როდესაც სეტყვა წამოვიდა, საბამ დაიძახა; ღმერთი გვსჯის ცოდვებისათვის. რაკი ის ურჯულონი ერთად ცხოვრობენ, ღმერთს ჩვენთვის მოწყალების თვალით აღარ გადმოუხედავს, წავიდეთ მკითხავთან, იქნებ გვირჩიოს რამეო.

**დიოგ.** ხა! ხა! ხა! რა თქმა უნდა, ხალხი დასთანხმდებოდა,

**პლატ.** დიახ! და მკითხავიც ასეთი სიტყვებით მიეგება ხალხს: „რადა ჩემთან მოდიხართ რჩევისთვის, თქვენც უნდა გრძნობდეთ რისთვის ისჯებით. თვეზე მეტია რაც მონასტრიდან გამოქცეული ქალი ჯვარ დაუწერელად სცხოვრობს თვის მეუღლესთან განა ღმერთი ასეთ დანაშაულს გაპატიებსთო? ხალხი აღელვებულია დაუჩქარეთ აქედან წასვლა, ვშიშობ ცუდი რამ არ მოხდეს!“

**დიოგ.** მერე?

**პლატ.** ხალხის დასამშვიდებლად მაინც დაიწერეთ ჯვარი, ან წადით აქედან, ვიდრე სოფელი ამ მოვლენას დაივიწყებდეს.

**დიოგ.** ხა! ხა! ხა! შენ მეუბნები ამას ჩემო პლატონ? იქნებ შენც ეჭვი შეგაქვს, რომ ჩვენა ვართ ყოველ უბედურების მიზეზი?

**პლატ** მშვიდობით! მე ვიჩქარი გავიგო რა ხდება იქ. (გადის ყველა განცვიფრებულია)

**ლიზა** მეშინია! მეშინია დედა! დედა! (გარბის)

**ალოლ.** წავიდეთ ბიძავ, ისევ მიმიღე შენს ჭერ ქვეშ.

**გიორ.** ჩემი სახლი მუდამ ღიაა შენთვის. მეც ვგრძნობდი, რომ ამ თქვენ უგუნურ მოქმედება კარგი დასასრული არ ექნებოდა.

**ალოლ.** მშვიდობით დიო! ბედი არ გვწყალობს, რომ ჩვენ ერთმანეთს დაგვამეგობროს.

**დიოგ.** (აღფრთოვანებით) სურთ წამართვან შენი თავი! ეს საკმარისი იყო ჩემთვის. ეხლა კვლავ უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია. სულ მცირედი მიზეზი საკმარისია, რომელიც საფრთხეს უქადის ჩვენს სიახლოვეს, რომ ისევ, თავ დავიწყებით მივეცე შენს სიყვარულს.

**ალოლ.** (თრთის) არა ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლება!

**დიოგ.** შენ ეხლა ისევ მიუწდომელი ალოლი ხარ! ჩემს სულში ისევ იფეთქა მიმქრალმა ვნებამ, ვერავინ ვერ მომტაცებს შენს თავს.

**გიორ.** წავიდე გავიგო მაინც რა ხდება იქ-

**ალოლ.** მეშინია! ნუ მიდიხარ! არა გავნონ რა?

**გიორ.** ვინ რას გამიბედავს (გადის).

**დიოგ.** გაიქცა. დაგტოვა ერთგულმა ბიძამ, გზა დაგილოცა წამებისაკენ, ისე როგორათაც ერთხელ მონასტრისაკენ.

VIII

იგინივე **დედა და ლიზა**

**ლიზა.** მოდიან! მეშინია!

**დედა.** აი თქვენი ურჩობის, წამოდით, დაიმალეთ სადმე.

**დიოგ.** ჩემს სულს ეხლა ეწვია აღფრთოვანება და დავიმალო?

IX

იგინივე და

სცენაზე რამოდენიმე გლეხი შემოიჭრება მათ შორის არის **საბა** ნაჯახით.)

**დიოგ,** რა გნებავთ?

**საბა.** როგორ თუ რა გვნებავს, ურცხვებო! გარყვნილებო! თქვენი ცოდვები ჩვენ უნდა ვზიდოთ?

**ერთი გლეხი.** ჩვენი ნაშრომ-ნალვაწი ნიაღვარმა და სეტყვამ შთანთქა. თქვენა ხართ ყოველივე ამის მიზეზი. თქვენ დაარღვიეთ სჯული და ღმერთი ჩვენზეც განრისხდა.

**დიოგ.** ხა! ხა! ხა! ნუ თუ თქვენი ღმერთი ისე უძლურია, რომ პირდაპირ მე ვერასფერი შემბედა? მერე თქვენ როგორ ბედავთ ჩემთან მოახლოებას?

**საბა.** ხმა გაკმინდე შე გადარეულო, შენა?

**ალოლ.** (გაფითრებული ეურდნობა დიოგენს) შემიბრალეთ ქრისტე-ოხერი, ნუ დამღუპავთ?

**საბა.** შეხედვთ იმ ურცხვს რავა გველივით ეხვევა ყელზე? (ხმაურობა თან და თან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერდება, სცენაზე შემორბის პლატონი მივარდება საბას და ხელიდან ნაჯახს გამოსტაცებს).

**პლატ.** ბებერო ძაღლო შენც კიდევ სხვას ედავები სჯულის შეურაცყოფაში?

**საბა**. შენ ვისი რა ხარ რომ ამით ექომაგები? არც შენ ხარ ჩვენში გასაჩერებელი.

**პლატ.** (ხანჯალს ამოიღებს) გირჩევთ დაბრუნდეთ უკან.

**ხმები**. ჩავქოლოთ ურწმუნონი! სიკვდილი ღვთის მგმობთ.

**დიოგ.** (ხელს ხვევს აღთქმას) ვინ რა იცის, რა ვნების დაუშრეტელი სიძლიერეა ამის სხეულში, ვინ იცის რა საამური სიოირხევა ამის წამწამებში. (ფანჯრიდან) ხალხნო!

**ხმები** უსჯულო! ღვთის მგმობი!

**დიოგ.** ხალხნო! (სახურავებზე და კედლებზე ქვები ეცემა. ფანჯრიდან შემოვარდება ქვა და იატაკზე დაეცემა)

**ლიზა**. მიშველეთ (იკივლებს და გულშეღონებული დაეცემა).

**დიოგ.** (აიღებს ქვას და გულზე მიიურდნობს) აი, იმ ძეგლის დასაწყისი, რომელიც სურს ხალხს, რომ ჩვენ ვნებით წამებას ძეგლად აუგოს

**ხმები**. დავსწვათ! ცეცხლში გამოვსწვათ უსჯულონი!

**დიოგ,** მოვკვდეთ ალთქმა დეე, მიეცეს აღსასრული ჩვენს წამებასაც. მოვკვდეთ. ამ სოფელში საშვილიშვილოდ ზღაპრად დარჩება, თუ როგორ დაიღუპა ჩვენი სული ვნების ბრჭყალებში მომწყვდეული.

**ხმები**. მოვკლათ! სიკვდილი მაგათ! (პლატონი კარებთან სდგას ხანჯლით ხელში და ბრბოს შემოსვლას წინააღმდეგობას უწევს)

**დედა**. შვილებო (გულ შეღონებული დაეცემა).

**დიოგ**. (გულ შეღონებული აღთქმა გულზე უკვს მიურდნობილი) ალოლ! ჩვენ სულის წამებას მაინც არ ქონდა მოსვენება ვნების ბრჭყალებში. ესენი მაინც იქნებ დავიხსნათ სიკვდილისაგან! (აიტაცებს ხელში აღთქმას, უკანასკნელად აკოცებს და ფანჯარიდან გადაისვრის, შემდეგ თვითონაც გადაეშვება ძირს, კივილი და ხმაურობა თან და თან ძლიერდება.)

[illegible]

ფარდა

(დასასრული)

# ქართული მუსიკა

## და ჩვენი კომპოზიტორები

წერილი პირველი*)

ჩვენს ხალხურ მუსიკას ბევრი დაუინტერესებია, როგორც ქართველნი, აგრედვე უცხოელნიც. გამოუკვლევიათ მისი თავისებურობა, გადაუღიათ ნოტებზე ხალხური სიმღერები და საეკლესიო საგალობლები. ამასთანავე ერთად, ამ ბოლო დროს გამოგვიჩნდნენ აგრედვე ისეთი მუსიკოსნი, რომელნიც არა კმაყოფილდებიან სიმღერების ნოტებზე გადაღებას, და, რამდენათაც ნიჭი შესწევთ, მიჰყოლიან ქართული ხასიათის პიესების თხზვას.

მგონი დროა ანგარიში გაუწიოთ მათ, აღვნიშნოთ თითოეული კომპოზიტორის თავისებურობა და გავარჩიოთ ცალკცალკე მათი ნაწარმოები.

მიზნად არა მაქვს ვრცლად შევეხო ჩვენი კომპოზიტორების შემოქმედებას; გეცოდინებათ, ნოტების უმეტესი ნაწილი არ არის დაბეჭდილი, მეორე, კონცერტები მეტად იშვიათად იმართება, რომ ერთი და იგივე ნაწარმოები რამდენჯერმე მოვისმინოთ. ზოგ კომპოზიტორებზე ხომ მარტო გაზეთები გვაწვდიან ცნობებს: იმის გარდა, რომ ნოტები არა აქვთ დაბეჭდილი, არც კონცერტში მოგვისმენია მათი ნაწარმოები. ამიტომ განვიძრახე მხოლოდ აღვნუსხო თითოეული კომპოზიტორის თავისებურობა და გავკვრით შევეხო ზოგიერთ მათ ნაწარმოებს.

პირველი ადგილი ჩვენს კომპოზიტორებში



დ. არაყიშვილს უჭირავს. ღმერთის დიდი ნიჭით და ნამდვილი შემოქმედების სულით დაჯილდოვებია. ეს ერთად ერთი კომპოზიტორია (ქართველი), რომელსაც ნიჭთან ერთად ტეხნიკაც საუცხოვოთ განუვითარებია. ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ მის ნაწარმოებს ეთნოგრაფიულ თვალსაზრით კი არ ვისმენთ, არამედ როგორც ჩვეულებრივ ნიჭიერ კომპოზიტორის მუსიკალურ პიესებს. თავის ნაწარმოებს უმეტესად ქართულსპარსულ ხასიათს აძლევს და სარგებლობს ეგრეთ წოდებულ „არისტოკრატიულ ჟანრის“ კილოებით. მოგეხსენებათ 17—18 საუკუნეებში ქართლ-კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეთში სპარსული კულტურა გამეფდა. უპირველესად მეფეების სასახლეში შემოიღეს სპარსული ზნე-ჩვეულებანი, ჩაცმა-დახურვა, ლიტერატურა და მუსიკა. მეფეების კარიდან სპარსული ჩვეულებები თავად-აზნაურობაში გადავიდა. ქართველებმა სპარსული კილოები შეითვისეს, საგრამ თან ქართული ელფერიც მისცეს. ესეთი ხასიათი აქვს „თქმულება შოთა რუსთაველზე“ — ოპერის შესავალს, მუსიკალურ სურათს „საზანდართა შორისა“ (იგივე „ორმუზდის ჰიმნი“) და სხვ.

აგრეთვე უნდა აღვნიშნო, ზოგი მისი ნაწარმოები წმინდა ქართული ხასიათისაა, მაგ. სცენა თამარისა და შოთა რუსთველისა ხოროთი ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთველზე“. ამ სცენაში აღსანიშნავია მშვენიერი და ნამდვილი ქართული რეჩიტატივი შოთა რუსთველისა. მგონია, ეს ადგილი მთელი ქართული მუსიკის შედევრი უნდა იყოს. ქართველ საზოგადოებას სულ ორჯელ (ერთი კონცერტზე) მოუსმენია ეს ადგილი, მაგრამ არა მგონია, თუ ვისმეს კიდეც დავიწყებოდეს. სხვა მის ნაწარმოებს აქ აღარ შევეხებით და სხვა კომპოზიტორზე გადავალთ.

მეორე კომპოზიტორი, რომელზედაც ახლა გვექნება ბაასი — ზ. ფალიაშვილია. ცნობილი, როგორც ავტორი პირველი ქართული ოპერისა „აბესალომ და ეთერი“. თუმცა ნიჭი ისე ხელს არ უწყობს, როგორც არაყიშვილს, და არც ტეხნიკა აქვს ისე განვითარებული, მაგრამ არც ერთ ჩვენს კომპოზიტორს ისე არ შეუთვისებია ქართული ხალ-



ხური მუსიკა, როგორც ამ კომპოზიტორს. სხვა ნაწარმოების წერა არ ეხერხება, თუ არა ქართულისა. სარგებლობს მარტო ქართული ჰანგებით და მთელი მისი ოპერა (რამდენათაც ნაწყვეტებიდან სჩანს) წმინდა ქართული ხასიათისაა თავიდან ბოლომდის,ავიღოთ მაგ. ხორველი ხორო „ავ[illegible]ანდილო გალინადირა“. მსმენელმა არ იცის ქართული ხალხური სიმღერაა თუ კომპოზიტორის შეთხზული. ეს [illegible] უნდა ჩაითვალოს პირველ ხალხურ, კომპოზიტორისაგან შექმნილ, ქართულ სიმღერად, ზ. ფალიაშვილს საერთოდ ხოროების და ხმის ანსამბლების წერა უფრო ეხერხება, ვიდრე სოლოების. ამიტომ არი, რომ მის ხოროებს და ანსამბლებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენიათ მსმენელებზე (მაგ. „აბის მეფის ქება“, „მესამე მოქმედების დიდი ფინალი“, კვარტეტი და სხ.), სოლოები კი მკრთალი და უფერული გამომდგარან, თუმცა აქაც წმინდა ქართული ხასიათია დაცული, მაგ. ეთერის არიოზო პირველ მოქმედებაში და აბესალომის დიდი არია მესამეში, თუმცა წმინდა ქართული ხასიათი დაცულია მხოლოდ ტონის გამოცვლამდის.

აქ არ შემიძლია აგრეთვე არ შევეხო მხატვრულად დამუშავებულ ხალხურ სიმღერებს. უმეტესი ნაწილი ჩვენი და უცხოელი კომპოზიტორების, რომელიც მხატვრულად დაუმუშავებიათ ქართული სიმღერები, ხოროს უცვლელად ამღერებს ხალხურ სიმღერას (მაგ. ფოცხვერაშვილი), ცვლილება მხოლოდ ორკესტრის პარტიაში შეაქვთ. ზ. ფალიაშვილს კი ცვლილება, როგორც ხოროს პარტიაში შეაქვს, აგრეთვე ორკესტრშიც; მხოლოდ ქართულ ხასიათს არ აკარგვინებს (მაგ. „ალი ფაშა“). ასე რომ მისგან დამუშავებული სიმღერები უფრო წააგვანან ფანტაზიას ხალხურ სიმღერებზე *). აღსანიშნავია აგრეთვე ამ სიმღერების მშვენიერი ორკესტროვკა. თუმცა საერთოთ ორკესტროვკა მოუხუსტებს. ამით გავათავებ ზ. ფალიაშვილზე ლაპარაკს და ეხლა ფოცხვერაშვილზე გადავალ.

არც ერთი ქართველი კომპოზიტორის კონცერტი არ გამოიწვევს ხოლმე ისეთ აღტაცებას და ყაყანს ჩვენს საზოგადოებაში, როგორც ფოცხვერაშვილისა. კონცერტის მოლოდინში დიდ სიამოვნებას და კმაყოფილებას განიცდით, რომ კონცერტებზე დასტკბებით დაპირებული გრანდიოზულ ნაწარმოების შესრულებით. თვით კონცერტით კი უკმაყოფილო რჩებით. რა არ ს ამის მიზეზი?



ფოცხვერაშვილი უმეტესად არა კმაყოფილდება უბრალო ფორმებს და მაღალ ფორმებისკენ იწევს, მაგრამ, სწორედ ის ნაწარმოების სადაც კომპოზიტორი შაბლონს არ გასცილებია, უფრო მეტ შთაბეჭდილებას სტოვებს მსმენელზე, ვიდრე მისი გრანდიოზული ნაწარმოები. მაგ. მისგან დამუშავებული ხალხური სიმღერები (აღსანიშნავია „ლილე“), ნათუ-

*) ვბეჭდავთ ამ წერილს. თუმცა ავტორის ზოგიერთ აზრს არ ვეთანხმებით. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დას სიმღერა და ზოგიერთი საეკლესიო საგალობელი („დიდება მაღალთა შინა“ და „ალილო“), მაგრამ, როგორც ვთქვით, კომპოზიტორს ესეთი ნაწარმოები არ აკმაყოფილებს და გრანდიოზული პიესებისკენ იწევს. ამ გვარ ნაწარმოებში მხოლოდ გეგმა რჩება გრანდიოზული; გეგმის სისრულეში მოყვანისთვის, კომპოზიტორს არც ნიჭი უწყობს ხელს და ტეხნიკაზე ლაპარაკი ხომ მეტია. აი მაგალითები: თავის კონცერტებზე რამდენჯერმე გაარჩია სიმფონიური პოემა „თქმულება ამირანზე“. გააცნო საზოგადოებას, თუ ამა და ამ ადგილით რის გამოხატვა უნდოდა. თვით გარჩევა უფრო საინტერესო გამოდგა, ვიდრე გარჩევის შემდეგ შესრულებული პოემა. მიზეზი ის არის, რომ მელოდიები მოკლე აქვს, მკრთალი, უფერული, თუმცა ორიგინალური, და არც განვითარებული; ამ ნაკლის დაფარვაში არც ტეხნიკა უწყობს ხელს. ესევე უნდა ითქვას ოპერა-ორატორიის ნაწყვეტებზე (აღსანიშნავია „დიდება არმაზს“).

რომანსი „განთიადით“ ქართული რომანსი უნდა შექმნა. პირველი ნაწილი რომანსისა აგებულია ქართული ლექსის კითხვის ძველებურ მოტივზე; მეორე ნაწილის მელოდია კი მეტისმეტი მკრთალი, ნაძალადევია და არც ქართულს წააგავს.

საერთოდ ეს კომპოზიტორი ჯერ ძიებაშია და მის შემოქმედებას საკუთარი ფიზიონომია არ მიუღია.

**ამით** გავათავებთ პირველ წერილს ქართ-კომპოზიტორებზე და შემდეგ წერილებში სხვა -ვენი კომპოზიტორების მოქმედებას შევეხებით.

**ვ. რატიშვილი**

## „ვიშ! ქა?!.“

კარებში შემოაბრაცუნა გიგლამ, კინაღამ წამოიქცა კიდეც. ოთახში ჯერ ბაშმაკები გამოჩდნენ, მემრე გიგლა. ეს ძველი ბაშმაკები, „მოდნურები“, ოდესღაც ეკუთნოდენ კნ. მართას მეორე ვაჟს და ახლა გიგლას ჩააცვეს. იგინი წარსული „მოდისანი“ იყვნენ, ძალიან გძელები. პაჭუა ძაღლის ცხვირივით წაჭრილები, ზემოდამაც ცხვირებზე ამობურთული კოპიჭებით. რასაკვირველია, რადგან გიგლას ფეხებზე სამჯერ მაინც გძელები იყვნენ, გიგლასაც კანჭებზე მაგრა ჰქონდა დაბმულები ბაშმაკები თოკებით. ვაი ყაგლახით დააბრაცუნებდა გიგლა, არა ერთხელ გადაუვლია ყირამალა გადახლართულ გძელი ბაშმაკებით. ახლაც მარდათ შემოაბრაცუნა კნეინას ოთახში.

— რა გნებავთ, ქალბატონო?

— რა იქნა, ბიჭო, კოპი?

— რა კოპი ქალბატონო, ქალამნისა?

— მამაშენსა აქვს ცხონება! ქალამნის კოპი კი არა, აი ჩემი ჩიხტის კოპი.

— როგორია, ქალბატონო?

— ბიჭო, შე დასაბრმავებელო, არ გინახავს კოპი? აი ეგრე გურგვალია, ჯერ სქელი და მერე ნელ-ნელა წვრილდება, რბილია, მოთეთრო ფერი აქვს.

— ჰო, გურგვალია, ქალბატონო. როგორ არ მინახავს, დილასაც აი მარანში ციცოები ათამაშებდნენ.

— უი, დამიდგა თვალები, რაღა მეშველება, თუ დამიფხრიწეს.

— ჰო, გურგვალია, ქალბატონო. როგორ არ მინახავს, დილასაც მარანში ციცოები ათამაშებდნენ.

— უი, დამიდგა თვალები, რაღა მეშველება, თუ დამიფხრიწეს, მეტიც აღარა მაქვს გარშემო სძინავთ, ვის გამოვართმევ. ბიჭო, სოსი, სოსი! ჩქარა მარანში მონახე, კატებს კოპი გაუტაცნიათ. აბა, ჩქარა, გიგლავ, ჩაის ჯამი, ერთი სტაქანი ჩაი თუ არ დავლიე, არ შემიძლიან არსად გასვლა. აი დაგწყევლოს წმინდა ნიკოლოზის ხატმა შენ, არტემა ძაღლო, შენა, რაც მე ვწვალობ ამ „სუდებში“ ტარებით.

— რა ამბავი გაქვსთ, ქა? არ დამაძინებთ?

— ვიშ, შვილო, რა ვქნა. გაუხმეს მაგ მედუქნე არტემას თავი. ეს მეხუთედ მივდივარ სუდში ამ შვიდი წლის განმავლობაში. დაუდგეს თვალი, ოთხჯერ „მირიოვოი სუდში“ მოუგე საქმე. არა უშავსრა, იმ ცივ ზამთრე

*) ეს აზრი, მგონი, პატივცემულმა ი. კარგარეთელმაც გამოთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღში ხომ მატარა 30 ვერსის მანძილზე ქოლ—ში „მიროვოი სუდში“, ეხლა კიდევ ამ 25 ვერსსაც გავივლი და ავალ ქ. სი—ში „ოკრუჟნი სუდში“: რო მოკვდეს, თავისას არ გავაყვანინებ მაგ არტემა ძაღლს, მაგას. როგორ, შვილო? მაგან ჩემი მარნიდან ქაჯა-თხლე გაიტანა, არაფერი არ მომცა და საქმე სასუდოთაც გამიხადა! აი გაუსქდეს ის მუცელი, ისა, რომ მე ეგ არ ვაფარფაშო, ეგ პოია ეგა, დასაზრმავებელი! მაშ მე მართა არ ვიქნები და კნეინობაც ჩამომერთვას, თუ მაგ არტემა ძაღლმა თავისი გაიტანოს!

— ეჰ, შენ კიდევ, დედავ! აგერ მეშვიდე წელიწადია, რაც მაგ საქმეზე დასდიხარ და ყოველთვის მითხოვნია, მოიტა ერთი მაგას ლაზათიანად ავადებ და მანიფესტი გამოეცი, საქმე მოშალე. რატომ არ მიგონებ. მე და ჩემმა ღმერთმა, აი, ეს ჩემი მუშტი, ერთი აი ქვევითა ფერდი რომ აქვს, ერთი მოვცხებ, თუ სუპკარაპეტი მთავარანგელოზად არ მოეჩვენოს, მაშ მე კაცი არა ვიყო.

დიახაც რომ ვაჟკაცი შვილი ჰყავდა კნ. მართას უფროსი, 25 წლისა, და არა ნაკლები ვაჟკაცობით უმცროსი ვაჟიც, რომელიც ქალაქში ჰყავდა. ეს ორი ვაჟი რა ვაივაგლახით გამოზარდა თავის ქვრიობაში და შრომამ მუქთად არ ჩაუარა. თუ ნებას მისცემდა, არა ერთხელ მისცხებდნენ მისი ლამაზი შვილები არტემას, მაგრამ დედის გული ფრთხილობდა; ვინ იცის, რა მოუვა არტემას უფროსი ვაჟის მუშტის შემდეგ და ისიც ქვევითა ფერდში.

— არა, შვილო, თავი დამანებე, მე ჩემი სიცოცხლე პატიოსნების თაყვანისმცემელი ვიყავი. 17 წლისა მარტოდ დავრჩი ქვრივი. ქნობამდის სიმართლისათვის არ მიმტყუნია., ამ ქაჯა-თხლის საქმეში მე მართალი ვარ და პოია არტემას მევე უნდა გაუმკლავდე. ეს ოთხჯერ ხომ მოუგე საქმე, ეხლაც ღმერთია მოწყალე, ეხლა კიდევ ოკრუჟნი სუდში უნდა მოუგო, გავამშავო ეგ არ გასაშვები, ეგა ..

— რავქნა, რა იქნა სოსია! ბიჭო, სოსი, სადა ხარ!

— აქ გახლავართ, ქალბატონო! ეს დაღუპულები, აქ სად შემხტარან, მაღლა. მე ჰიგლას ვერ დაგვიჭერია. დახე, დახე, ქალბატონო! რას უშვრებიან ი კოპს, ათამაშებენ!

მართლაც, მარანში, მაღლა გაწყობილ ფიცრებზე ორ კატას გრიალი გაჰქონდათ, იქვე კნეინას კოპი ეგდო, ხან ერთი შეათამაშებდა თათებით, ხან მეორე.

მალე ერთად არჩევდნენ კითხვას, კნეინა, უფროსი ვაჟი, სოსია და გიგლა, როგორ ჩამოეღოთ კოპი. ბოლოს სოსიას ჭკუამ გასჭრა. შემოიტანა დიდი კეტი, მიაკრა ზედ გიგლა, რომლის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გიგლამ ჩამოიღო კოპი! ცოტა დახეული კი იყო, მაგრამ კნეინამ მალე მიაკერ-მოაკერა და ურემშიაც უკვე გაემზადა. **ილო.**

(დასასრული იქნება)

# ცხოვრება

თუმც ცხოვრებამ მარგო ავი ბედია,
თუმც შუბლ-გახსნით ჯერ არ გამიხედია,—
არ შევნატრი მაინც განცხრომის ძეთა,
მარად ლხინში რომ ატარებს თვის დღეთა.
მე ცხოვრება არ მსურს ერთფეროვანი,
რომელსაც რომ არ აქვს ლტოლვა, მიზანი,
რომელიც რომ ჭაობივით მკვდარია,
და არ იძვრის მასში ყოფნის ქარია.
შემიყვარდა ტანჯვა, ბრძოლა და ლტოლვა,
მომავალის იმედებით წინ ქროლვა,
უკუ ვაგდე კვნესა, ცრემლი და სევდა,
მარად ტანჯვით გულიც გამისალკლდევდა.
დე, ვისაც სურს იამაყოს განცხრომით,
მე ვამაყობ ტანჯვით, ბრძოლით და შრომით,
რას მიქვიან ლეშით ნებივრება! —
სიფხიზლე და ბრძოლა—აი ცხოვრება!

**ღრუბელი**

## „თეატრი და ცხოვრების“

**ფონდის გაძლიერებლად**

1 **სახელოსნო** სკოლის მოწაფეთა შორის მსახიობ გ. გედევანოვის თაოსნობით შეკრებილი 6 მ.

2 **რ. გ ალელი—საგან** „ 50 კ.

3 **თ დ. ე. ჩოლო—საგან** 2 მ.

4 **კ ტუავაძისაგან** 10 მა.

რედაქციაშ ემომწირველთ გულითად მადლობას უძღვნის.

მგოსანი

გ. ქუჩიშვილი

დღეს სახალხო სახლში სალიტერატურო დილას მართავს

---

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

# უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენ. იოსებ იმედაშვილის მიერ, მეორედ შევსეებულ-შესწორებული. მოვარაყებული ყდით, ხელის მოწერით ღირს 2 მ. 50 კ. გაწერვა კიდევ შეიძლება: Тифлисъ. ред. „Театри да Цховреба"—Іос Имедашвили.

---

# ხაროშეხის საზოგადო კლუბი

ორშაბათი—სინემატოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი—სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

ოთხშაბათი—ქართული წარმოდგენა,

ხუთშაბათი—ოპერეტა რუსულ ენაზე.

პარასკევი—საოჯახო საღამო

შაბათი—რუსული წარმოდგენა

კვირა—სიმებიანი ორკესტრი

**შესასვლელი ფასი:** ქალები და სტუდენტები—25 კ. მამაკაცნი 50 კ.

**დასაწყისი:** წარმოდგენა—კონცერტების—სინემატოგრაფ—საღ. 8 ნახ ს.

---

# ახალი კლუბი

1 კვირის პროგ. მარტის 5-12

კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ორშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

სამშაბათი—საოჯახო საღამო

ოთხშაბ.—სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

შაბ.—საოჯახო საღამო

კვირა—რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 სათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ სა.

შესას. ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც 1 მ.




---

# [illegible]ება ხელის მოწერა 1917 წლისა [illegible]ის V წ.

სათეა[illegible] სალიტერატურო, სამხატვრო კვირეული ჟურნალი

# თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას

**აკაკის** „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები" ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

**ჭ. ლომთათიძის** „რჩეული აზრები" ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დაისახურებული და ხალგაზრდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, ამხატვრები

**ჟურნალის ფასი** ორივე პრემიით წელიწადში ღირს 8 მან. ნახევარის წლით, მან. 50 კაპ. თითო ნომერი ცალკე 15 კაპ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ, 1-მაისამდე—3 მ. 1-ელ ენკენისთვემდე 2

**ხელის მოწერა მიიღება:** თბილისში, „სორაპნის" სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред „Театри да Цховреба" Іосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა